



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზათი №7. საქმეობარი. 2015.

— ბატონო მერაბ, ვიდრე და-
ვინცებდეთ საუბარს უნივერსი-
ტეტში მიმდინარე სიახლეებზე, იქ-
ნებ გვითხრათ, რატომ ვინცებთ
სასწავლო წელს ორი კვირის და-
ვიანებით?

— 2015-2016 სასწავლო წელი ბა-
თუმის შოთა რუსთაველის სახელმ-
წიფო უნივერსიტეტში 14 სექტემ-
ბერს უნდა დაგვეწყოს, მაგრამ მიმდი-
ნარე სარემონტო-სარეაბილიტაციო
სამუშაოების გამო, 28 სექტემბრამ-
დე გადაიდო. უმაღლესი სასწავლებ-
ლის რამდენიმე კორპუსში ერთდ-
როულად მიმდინარეობს რემონტი.
კერძოდ, ფიზიკის კორპუსში მდებარე
ტექნოლოგიური ფაკულტეტის შენობას
სრული რეაბილიტაცია უტარდება. ასევე რემონტდება რუს-
თაველის ქუჩაზე მდებარე ხუთსარ-
თულიანი კორპუსის მეოთხე და მე-
ხუთე სართულები, საერთო საცხოვ-
რებელი, ფიზიკის, ბიოლოგიის, მინე-
რალოგიის, საინფორმაციო ტექნო-
ლოგიების ლაბორატორიები და თა-
მარის დასახლებაში არსებული აგ-
რარული და მემბრანული ტექნოლო-
გიების ინსტიტუტის შენობა. ვფიქრ-
ობთ, ამით მნიშვნელოვნად გაუმ-
ჯობდება უნივერსიტეტის მატე-
რიალურ-ტექნიკური ბაზა და ინფ-
რასტრუქტურა. გარდა ამისა, ოქ-
ტომბერში გარემონტდება უნივერ-
სიტეტის ეზოში მდებარე სპორტული
მოედანი, დაიწყება ეზოს რეაბილი-
ტაცია.

2015 წელს ორ მილიონზე მეტი
ლარი იხარჯება ამ სარემონტო-სარე-
აბილიტაციო სამუშაოებში. საჭირო
თანხა ძირითადად გამოიყო უმაღლესი
საგანმანათლებლო დაწესებულებ-
ის ბიუჯეტიდან, მხოლოდ აგრარულ-
ი და მემბრანული ტექნოლოგიების
ინსტიტუტის შენობის სრული რეაბი-
ლიტაცია დააფინანსა საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების სამი-
ნისტრომ, რისთვისაც დაახლოებით,
600 ათასი ლარი გამოიყო.

— გარდა ზემოაღნიშნულისა,
რა კეთდება მატერიალურ-ტექნი-
კური ბაზის გაუმჯობესების თვალ-
საზრისით?

— ინტენსიურად მიმდინარეობს
სტომატოლოგიური კლინიკის განა-
ხლება, სარემონტო სამუშაოები, გა-
უმჯობესდება მისი მატერიალურ-
ტექნიკური ბაზა და შესაბამისი აღ-
ჭურვილობაც. უნივერსიტეტში ასე-
ვე შეიქმნება ფსიქოლოგიური კლი-
ნიკა და საინფორმაციო ტექნოლო-
გიის ლაბორატორია. მნიშვნელოვანი
სამუშაოები მიმდინარეობს აგრეთვე
ქიმიის, ბიოლოგიის, მინერალოგიის
საცდელი-საკვლევი ოთახების რეა-
ბილიტაციისათვის, უკეთესი პირო-
ბები შეიქმნება ფიზიკის ლაბორატო-
რიაშიც.

აღსანიშნავია ის სიახლეც, რომ
ინოვაციების სააგენტოს დაფინან-
სებით ჩვენს უნივერსიტეტში, კერ-
ძოდ, ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე,
17 ოქტომბერს გაიხსნება ინოვაცი-
ების ლაბორატორია, რომელიც დაახ-
ლოებით ნახევარი მილიონი ლარის



უნივერსიტეტი ახალ სასწავლო წელს სიახლეებით

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან განსხვავებით, ახალი, 2015-2016 სასწავლო წელი 28 სექტემბერს დაიწყება. ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთ უძველეს უმაღლეს სასწავლებელში არაერთი სიახლისა და რეფორმის გატარება იგეგმება: უნივერსიტეტში დაინერგება ელექტრონული მართვის სისტემა, სტუდენტთა მრავალკომპონენტური შეფასების წესი, ახალი სასწავლო წლიდან ამოქმედდება ოთხი ახალი აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა, გაიზრდება სახელობითი სტიპენდიების რიცხვი და სხვა. ამ სიახლეებსა და სხვა აქტუალურ საკითხებზე სასაუბროდ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელს, ასოცირებულ პროფესორ მერაბ ხალვაშვას ვეწვიეთ.

ღირებულების აპარატურით იქნება აღჭურვილი. ეს უკანასკნელი ხელს შეუწყობს ჩვენი პროფესორების, მეცნიერების კვლევების კომერციალიზაციას და პრაქტიკაში დანერგვას.

— ბატონო მერაბ, რას გვეტყვი-
თ უშუალოდ სასწავლო პროცეს-
თან დაკავშირებულ სიახლეებზე?

— უნივერსიტეტი ახალი სასწავ-
ლო წლიდან გადადის მართვის ელექ-
ტრონულ სისტემაზე. სტუდენტები
უკვე აკადემიურ და ფინანსურ რე-
გისტრაციას ელექტრონული ფორ-
მით გაივლიან. მათ შეუძლიათ აირ-
ჩიონ სასწავლო კურსი, გაეცნონ წი-
ნაპირობას და ა. შ. რა თქმა უნდა,
ახალგაზრდები სიახლეს მომზადე-
ბული ხვდებიან, უნივერსიტეტის სა-
ინფორმაციო ტექნოლოგიების სამ-
სახურის თანამშრომლებმა ყველა
მეორე, მესამე და მეოთხეკურსელს
ტრენინგები ჩაუტარეს და ელექტ-
რონული მართვის სისტემის გამოყე-
ნების წესების შესწავლეს. რაც შეე-
ხება პირველკურსელებს, მათთვის
უნივერსიტეტის მე-17 აუდიტორია-
ში მუშაობს საკონსულტაციო ცენტ-
რი, რომელიც დეტალურ ინფორმა-
ციას აწვდის უნივერსიტეტზე, კერ-
ძოდ, აქ არსებული ნორმების, შინა-
განაწესის, ეთიკის კოდექსის, ქცევის
წესების, სტიპენდიების, გაცვლითი
პროგრამების, სოციალური პროგრამების,
შეფასების წესის და ზოგადად,
საუნივერსიტეტო ცხოვრების შესახებ.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია
სტუდენტთა შეფასების ახალი, მრავ-

ალკომპონენტური წესი, რომელიც
ახალი სასწავლო წლიდან ამოქმედ-
დება. სიახლე ეფუძნება სწავლისა
და სწავლების ახალ მეთოდებს და
უზრუნველყოფს ხარისხის ამაღლე-
ბას. ერთი შუალედური გამოცდის
ნაცვლად იქნება ორი, მიმდინარე შე-
ფასება იქნება მრავალკომპონენტი-
ანი, გამოვიყენებთ გამოკითხვისა და
შეფასების სხვადასხვა ფორმას, მაგ-
რამ უნდა აღინიშნოს, რომ ამის პა-
რალელურად გარკვეული ბარიერიც
ჩნდება. თუ სტუდენტი არ დაესწრე-
ბა სალექციო მეცადინეობის 50 %-ს,
მას დასკვნით გამოცდაზე გასვლის
უფლება არ ექნება.

— ბატონო მერაბ, თუ სტუ-
დენტს ლექციების გაცდენის საპა-
ტიო მიზეზი ექნება?

— შესაბამისი დოკუმენტის წარ-
მოდგენისას გამოწვევის გავითვალ-
ისწინებთ.

გარდა ამისა, სტუდენტებისათ-
ვისაც არის სხვა მნიშვნელოვანი სია-
ხლეები: უნივერსიტეტის შენობის
ყველა ფოიეში მოეწყობა თავისუფა-
ლი ადგილები, სადაც მათ ექნებათ
ინტერნეტის გამოყენების საშუალე-
ბა; აქვე მოეწყობა ე.წ. ღია ბიბლიო-
თეკები. ფოიეებში დამონტაჟებული
ტელევიზორების საშუალებით ახალ-
გაზრდები გაეცნობიან საუნივერსი-
ტეტო ცხოვრებას, მიიღებენ ინფორ-
მაციას იურიდიული აქტების შესა-
ხებ, რომელიც ზოგადად არეგული-
რებს სტუდენტებისა და პროფესორ-
მასწავლებლების საქმიანობას.

— სტიპენდიებს ისევ იმ რაოდენ-
ობით გაცემთ?

— ახალი სასწავლო წლიდან და-
მატებით დანესდება შოთა რუსთავე-
ლის სახელობის, უნივერსიტეტის
პირველი რექტორის — ხუსეინ ნაკა-
იძის სახელობისა და ცნობილი ის-
ტორიული პიროვნების, გულო ალა
კაიკაციშვილის (რომელმაც საკუ-
თარ სახლში პირველი ქართული
სკოლა გახსნა) სახელობის სტიპენ-
დიები.

— ბატონო მერაბ, როგორი იქ-
ნება ახალი სასწავლო წლის პირვე-
ლი დღე?

— ვგეგმავთ, ის განსაკუთრებუ-
ლი იყოს... განსხვავებულად გვინდა
მიუვლოცოთ ეს მნიშვნელოვანი დღე

— როგორც ცნობილია, წელს
უნივერსიტეტი მრავალფეროვან
საბაკალავრო საგანმანათლებლო
პროგრამებთან ერთად, ახალ აკრე-
დიტებულ სამაგისტრო პროგრამ-
ებსაც განახორციელებს...

— დიხ, აბიტურიენტებს მართ-
ლაც, მრავალფეროვან არჩევანს
ვთავაზობთ. დასრულდა პირველ-
კურსელთა რეგისტრაცია და წელს
1121 პირველკურსელი მივიღეთ. თუ
გავიხსენებთ ქვეყნის მასშტაბით
უმაღლეს სასწავლებლებში დარჩე-
ნილ 28 ათას ვაკანტურ ადგილს, ამ
ფონზე ეს ძალიან კარგი მაჩვენებელია.
ჩვენი უნივერსიტეტი ინარჩუნ-
ებს რეიტინგული უმაღლესი საგან-
მანათლებლო დაწესებულების სტა-
ტუსს. ახლა სამაგისტრო გამოცდე-
ბი მიმდინარეობს. საერთო სამაგის-
ტრო გამოცდის გარდა, მაგისტრან-
ტობის მსურველმა უნდა ჩააბაროს
გამოცდა სპეციალობასა და უცხო
ენაში.

წელს ჩვენი რამდენიმე ახალი, აკ-
რედიტებული სამაგისტრო საგანმა-
ნათლებლო პროგრამა დაგეგმატეთ.
ესენია: ეკოლოგია, ფილოსოფია, სო-
ციოლოგია და ტურიზმი.

— მიმდინარე წელს რომელ
სპეციალობაზე იყო ყველაზე მაღა-
ლი კონკურსი?

— ყველაზე რეიტინგულ სპეცი-
ალობად რჩება სამართალმცოდნე-
ობა, საერთაშორისო ურთიერთობე-
ბი, ტურიზმი, ეკონომიკა, ინგლისუ-
რი ფილოლოგია. მნიშვნელოვანია
ის გარემოება, რომ ბოლო პერიოდ-
ში ძალიან გაიზარდა მოთხოვნილე-
ბა ქართულ ფილოლოგიასა და ის-
ტორიაზე, ეს გარკვეულად იმანაც
განაპირობა, რომ ეს პროგრამები
სახელმწიფოს მიერ სრულად ფინან-
სდება.

— ბატონო მერაბ, რატომ რჩება
რექტორის მოადგილის თანამდევ-
ობა ამდენი ხნის განმავლობაში
ვაკანტური?

— ეს საკითხი ღიად რჩება მხო-
ლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ
აღნიშნული თანამდებობა ძალიან
მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებ-
ლოა. აქ დანიშნულ პირს დიდი გა-
მოცდილება და კომპეტენცია სჭირ-
დება. მიმდინარეობს კანდიდატის
შერჩევა და ახალი სასწავლო წლი-
სათვის უნივერსიტეტს ეყოლება
რექტორის მოადგილე სასწავლო
დარგში.

საიუბილეო თარიღის აღსანიშნა-
ვად რამდენიმე თვეა ვემზადებით.
უნივერსიტეტის 80 წლის იუბილე-
სადმი მიძღვნილი ღონისძიებები
მთელი წლის განმავლობაში მიმდი-
ნარეობდა, დასკვნითი შეხვედრები
16-17 ოქტომბერს გაიმართება. ამ
დღეებში ავირჩევთ საპატიო დოქ-
ტორებს; მთავრობისა და უნივერსი-



**ქვირფასო მემორაპო,
კოლეგაპო, სტუდენტაპო!**


ნელს ჩვენი უნივერსიტეტი უკვე მეოთხმოცდ
იზიმებს ახალი სასწავლო წლის დაწყებას...

გასული ათეული წლების გადმოსახედიდან, უამ
რავი სათქმელი და წარმატება დაგვიგროვდა, რომ
ლითაც ნებისმიერი საგანმანათლებლო დაწესებუ
ლება თავს მოიწონებდა: ახალი აკრედიტირებული
პროგრამები, გაზრდილი სტუდენტთა კონტინგენტი,
ეროვნული თუ საერთაშორისო სამეცნიერო გრანტე
ბის, გამოგონებების და პატენტების მატება. თუმცა,
წარმატებები დამშვიდების საფუძველს არ ვგაძ
ლევს, ჩვენს წინ ახალი გამოწვევებია, რომელთაც პა
სუხი ჭირდება, პასუხი, რომელიც ჩვენი ისტორიის
ღირსეული გაგრძელება იქნება.

მეგობრებო, გილოცავთ ახალი საიუბილეო სას
წავლო წლის დაწყებას, ვისურვებდი ცოდნის მიღების დაუშრეტელი წყურვილი და მუხტი
არ მოგვკლებოდეს, კიდევ უფრო შემართებით გვეშრომოს ჩვენი მომავალი, განათლებული
თაობის აღზრდისთვის და კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგათ ჩვენი ქვეყნის გამთლიანების და
გაძლიერების რთულ გზაზე!

ნათია ნიკლაშვილი, პროფესორი
რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში

გ ი ლ ო ს ა ვ თ ი !



ნელს მეოთხმოცეჯერ დაირეკება ახალი სასწავ
ლო წლის დაწყების მაუწყებელი ზარი ბათუმის შო
თა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში: ის
ხომ უკვე 80 წლის გახდა, თუმცა პოეტის თქმისაც
არ იყო: „რაა ოთხმოცი? ბლის ოთხმოცეჯერ აყვავი
ლება!“ ჩვენი მშობლიური უნივერსიტეტი მოესწრო
ბლისა და მაგნოლის, იასამნისა და ვარდის ოთხ
მოცეჯერ ყვავილობას... თუკი ეს ასაკი ადამიანისთ
ვის დაისის მომასწავებელია, უნივერსიტეტისთვის
ის ჯერ კიდევ ჭაბუკობის ხანაა. ასე ახალგაზრდა,
სისხლსავსე, წარმატებული, გაძლიერებული ხვდება
უნივერსიტეტი თავის საიუბილეო ახალ სასწავლო
წელს.

ჩვენი მომხიბლავი, ქათქათა, კოპნია 80 წლის
უნივერსიტეტი დღესაც ბათუმის მშვენიერებაა, მისი სიამაყე და იმედია, ინტელექტუა
ლურ ძალთა თავმოყრის ადგილია. ის ყოველწლიურად იცვლება, ვითარდება, იხვეწება.
ცდილობს მხარი გაუწიოს ვეროპის უნივერსიტეტებს. ამისკენა მიმართული უნი
ვერსიტეტის თითოეული თანამშრომლის ძალისხმევა, ამ მიზანს ემსახურება აქ მოქმე
დი სტუდენტთა თუ პედაგოგთა გაცვლითი პროგრამები, მოპოვებული გრანტები, სა
განმანათლებლო პროგრამებისა თუ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფისათ
ვის დაუღალავი ზრუნვა.

უნივერსიტეტზე ემოციის გარეშე საუბარი არ შემძლია, რადგან ის ჩემი მეორე
ოჯახია: ამ 80 წლიდან ზუსტად ნახევარი — 40 წელი, მის კედლებში მაქვს გატარებული,
ამიტომ მინდა ასე მოვეფერო: „ჩემო კედლებო, ისევ მიყვარხართ, როგორც მიყვარ
დით მაშინ.“

ამ დიდი სიყვარულით ვულოცავ ყველა თაობის პროფესორ-მასწავლებელს, თანამ
შრომელს, სტუდენტს ახალ სასწავლო წელს. წარმატებული წელი ყოფილიყოს თითო
ეული მათგანისთვის. მჯერა, მდიდარი ისტორიის, ტრადიციებისა და განსაკუთრებუ
ლი პოტენციალის მქონე უნივერსიტეტისთვის 2015 წელი განვითარების პრინციპუ
ლად ახალი ეტაპის, ახალი სიმაღლეების დაპყრობის საწყისად იქცევა.

შორენა მახაშაძე,
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი



უნივერსიტეტს უდიდესი მნიშვნელობა ენი
ჭება ყოველი ერისა და ქვეყნის ცხოვრებაში. მი
სი კულტურულობა და საზოგადოებრივი ტრადიცია
საგანმანათლებლო კერების ისტორიითაც იზო
მება. თანამედროვე, რთულ, არასტაბილურ და
კონკურენტუნარიან სამყაროში ადამიანის
მოთხოვნილება, იპოვოს საკუთარი ადგილი და
დანიშნულება საზოგადოებაში, მასთან დაკავ
შირებული რისკების შემცირება მრავალმხრივი
განათლების გარეშე დღეს შეუძლებელია. უნი
ვერსიტეტმა უნდა მოახერხოს მომავალი მოქა
ლაქეების ადაპტაცია ჯანსაღ საზოგადოებრივ
ურთიერთობებთან, ჰუმანიზმის, დემოკრატიის,
თავისუფლების საუკეთესო ტრადიციებთან.

უნივერსიტეტის დაარსება უმნიშვნელოვა
ნესი მოვლენა იყო აჭარის რეგიონისთვის და
ქვეყნისთვის. დღესაც ბათუმის მიმზიდველობა მეტწილად ზღვისპირას მდებარე
უნივერსიტეტთან არის დაკავშირებული, ვიდრე მხოლოდ ტურისტულ საზღვაო
ქალაქთან. შემთხვევითი არ იყო, რომ ივანე ჯავახიშვილის ოცნება - საქართვე
ლოში მეორე უნივერსიტეტი ბათუმში გახსნილიყო - რამდენიმე ათეული წელია,
უკვე რეალობად იქცა.

ვულოცავ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს საიუბი
ლეო თარიღს. ვუსურვებ, მუდამ იმსახურებდეს ახალგაზრდობის ნდობას, შეძლოს
მაღალკვალიფიციური, ეთიკური და სწორი პოლიტიკური განათლების ორგანიზე
ბა, რაც პიროვნებად ჩამოყალიბებისა და სხვათაგან მიმართებაში თანასწორულე
ბიანობის განცდის აუცილებელი წინაპირობაა.

ვულოცავ ჩვენს პირველკურსელებს სტუდენტობას, სტუდენტებსა და პედაგო
გებს კი ახალ სასწავლო წელს! ვისურვებთ და ვთხოვთ, რომ თან მოიტანოთ ნდობა
მეცნიერებისადმი, რწმენა გონებისადმი, ნდობა და რწმენა საკუთარი თავისადმი,
ჭეშმარიტების ძიების სითამამე, სამართლიანობის, პასუხისმგებლობისა და საღი
აზრის ერთგულება. გონების ძლიერების რწმენა ხომ ფილოსოფიური მეცადინეო
ბის პირველი პირობაა. არ არსებობს არავითარი ძალა, რომელიც შეძლებს
შემეცნების სითამამეს წინააღმდეგობა გაუწიოს. სწორედ ამ გზით არის შესაძლე
ბელი სამყაროს დაფარული არსი, სიმდიდრე და სიღრმე შემეცნების წინაშე
გადაიშალოს და მას საშუალება მისცეს დატკბეს და გაიხაროს.

პატივისცემით, პროფესორი ლალი ზაპარაძე

**საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი თამარ სანიძე
უნივერსიტეტს ეწვია**

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი თამარ სანი
ძე და აჭარის ა.რ. განათლების,
კულტურისა და სპორტის მინისტრი
გიორგი თავამაიშვილი ბათუმის შო
თა რუსთაველის სახელმწიფო უნი
ვერსიტეტს ეწვივნენ. თამარ სანიძე
უნივერსიტეტის რექტორის მო
ვალეობის შემსრულებელ, ასოცი
რებულ პროფესორ მერაბ ხალვაშ
თან და ადმინისტრაციის ხელმძღვა
ნელ ჯემალ ანანიძესთან ერთად,
უმადლეს სასწავლებლის აგრარუ
ლი და მემბრანული ტექნოლოგიე
ბის ინსტიტუტში მიმდინარე სარე
მონტო სამუშაოებს გაეცნო და
მკვლევრებს შეხვდა. ვიზიტის ფარ
გლებში მინისტრს მეცნიერებმა განხორციელებული პროექტები და სამომავლო გეგმე
ბი წარუდგინეს. ინსტიტუტში სარემონტო სამუშაოები საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით ტარდება.



**რუმინეთის საელჩოს ხელმძღვანელის
თანაუბრის ვიზიტი**



საქართველოში რუმინეთის საელჩოს ხელმძღვანელის თანაშემწე რადუ გორინჩიო
ვიზიტით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმყოფებოდა. დიპ
ლომატიური კორპუსის წარმომადგენელმა რექტორის მოადგილესთან ნათია ნიკლაშ
ვილთან და საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფ
როსთან ნანა ყურშუბაძესთან გამართულ შეხვედრაზე რუმინეთის წამყვან უნივერსიტე
ტებთან თანამშრომლობის შესაძლებლობებზე და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. დი
გეგმა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელთან მემორანდუმის გაფორმება, გაცვლითი
პროგრამების ამოქმედება და ერთობლივი პროექტების განხორციელება.

**VI საერთაშორისო ჯონფარენცია
„ბათუმი - წარსული და
თანამედროვეობა“**



„ბათუმობის“ სახალხო დღესასწაულს მიეძღვნა VI საერთაშორისო კონფერენცია
„ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“. სამეცნიერო სესიაზე მეცნიერები 60-მდე
მოსხენებას წარმოადგენენ ზღვისპირა ქალაქის ისტორიაზე, თანამედროვეობაზე, ტუ
რიზმისა და ურბანული განვითარების ტენდენციებზე. მკვლევარები ორი დღის განმავ
ლობაში ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავენ, როგორცაა: „ბათუმის ეკოლო
გიური პრობლემები და მისი გადაჭრის გზები“, „ოსმალთა მიერ ბათუმის ოკუპაცია და
ქართველი მწერლები“, „ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირე
ბის თავისებურებანი“, „არქეოლოგიური გათხრები და აღმოჩენები ფიჭვნარის ნაქალა
ქარზე“, „ქართველ მუჰაჯირთა სოფლები თურქეთის შავიზღვისპირეთში“ და სხვ. საერ
თაშორისო კონფერენცია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზებითა და ქალაქ ბათუმის მერიის
მხარდაჭერით ტარდება.



მეოთხმოცე განთიადი



ისევ აავსო ახალგაზრდების ყრიაშულმა ჩვენი ცოდნის ტაძარი — ოთხმოცწლოვანი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი!.. ეს მეოთხმოცე აისია, ნათელი ძიებისა და სიახლის რწმენით აღსავსე მეოთხმოცე განთიადი!

„სწავლის მძებნელთა“ ახალი, პირველკურსელთა ნაკადიც შეუერთდა მშობლიურ წილს დანატრებულ ჩვენს სტუდენტობას...

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, თვალნათელი და ლალო ქალიშვილებო და ჭაბუკებო! თქვენ ხომ ჩვენი დღევანდლობა და ხვალინდელი დღის იმედი ხართ! უნივერსიტეტი თქვენთვისაც თბილი ბუდე გახდება, შეგიყვარებთ, გულში ჩაგიკრავთ, ცოდნის ლაბირინთებში გამოგზაურებთ, სულსაც გაგისაუბრებთ და სამშობლოს მსახურების გზასაც დაგილოცავთ, ოღონდ მოინდომეთ და „მოჰყეთ დავითის მცნებას“, გასხვდეთ, რომ ჭეშმარიტი ცოდნის მიღება რთული, ხშირად მტკივნეული, პროცესია, მისი ნაყოფი კი — ერთობ ტკბილი და სარგო.

მაშ, დაენაფეთ ცოდნის ნექტარს, ირწმუნეთ თქვენი შესაძლებლობანი, ძალა და სასიკეთოთი წარმართეთ! ჩვენ კი, თქვენი პროფესორ-მასწავლებლები, გვერდით გვიგულეთ; ჩვენი გულები გახსნილია თქვენთვის, ჩემო კარგებო! უთქვენოდ, ჩვენს ცოდნა-გამოცდილებას, აბა, რა ფასი აქვს?! თქვენს უმნიშვნელო თვალეში აბდღვიანებული ცოდნის ნაპერწკლებია, აგრერიგად რომ გვათბობს და გვახარებს, ენერჯიასა და შემართებას გვმატებს, ხვალინდელი დღის რწმენას გვიღვივებს...

სწავლის დაწყებას გილოცავთ, ჩვენო ძვირფასო სტუდენტებო და კოლეგებო! ვისურვებ, ოთხმოცი წლის იუბილარ ჩვენს უნივერსიტეტს, მის ახალგაზრდა, შემართებულ რექტორს და მთელ კოლექტივს ჩვენი უზენაესი მისია პირნათლად შეგვესრულებინოს მშვიდობიანსა და გამთლიანებულ საქართველოში!

თინა შიოშვილი, პროფესორი



დიდი სითბოთი და სიყვარულით მოგესალმებით ყველას, ვინც ცხოვრებით თუ საქმიანობით დაკავშირებული ხართ ბათუმის უნივერსიტეტთან, და ასევე, უნივერსიტეტის ყველა გულშემატკივარს. გილოცავთ ახალი, ამჯერად საიუბილეო, სასწავლო წლის დაწყებას და გისურვებთ საინტერესო და ნაყოფიერ წელს. ჩვენ ისტორიული უნივერსიტეტი გვაქვს და ყველას ვაღიარებთ გავუფრთხილდეთ მას, დავაფასოთ მისი ღირსეული წარსული და ჩვენი წვლილი შევიტანოთ მის წარმატებულ ანწყობასა და მომავალში. გისურვებთ ახალ წარმატებებს და გამარჯვებებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროებში.

თამარ სირაძე,

პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ევროპეისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი



ახალ სასწავლო წელს ახალი რიტმი შემოაქვს თითოეული ჩვენგანისა თუ საზოგადოების ცხოვრებაში. მათთვის კი, ვინც სასწავლო პროცესის უშუალო მონაწილეა, როგორც მოწაფე, სტუდენტი თუ მასწავლებელი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენაა. მერამდენედაც არ უნდა ხვდებოდეთ ახალ სასწავლო წელს, მაინც თავისებური ემოციები მოსდევს მას. მასწავლებლებში სხვა ფაქტორებთან ერთად ამას, ალბათ, მოსწავლე ახალგაზრდობასთან შეხვედრა განაპირობებს. მათგან ხომ საოცარი ენერჯია მოდის.

წლეუანდელი 2015/2016 სასწავლო წელი, მართლაც რომ გამორჩეულია თავისი მნიშვნელობით. ჯერ ერთი, რომ 2015-ში ვზეიმობთ უნივერსიტეტის დაარსებიდან მე-80 წელს; ხოლო 2016 წელს - უნივერსიტეტმა აკრედიტაცია უნდა გაიაროს. ძვირფასო სტუდენტებო, კოლეგებო და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებო, გილოცავთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 80 წლის იუბილეს; ასევე ახალ 2015/2016 სასწავლო წელს. გისურვებთ ჯანმრთელობასა და აქტიურ, ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას. მუდამ მზად ყოფნას ახალ-ახალი გამოწვევების წინაშე, პირნათელობას საკუთარი ხალხისა და ქვეყნის სამსახურში; გაძლიერებას სულიერად, ინტელექტუალურად, ეკონომიკურად!

ახალი სასწავლო წელი განსაკუთრებით მინდა მივულოცო პირველ კურსელებს და მათ მშობლებს. მინდა დავარწმუნო ისინი, რომ ნამდვილად სწორი არჩევანი გააკეთეს, როცა სწავლის გაგრძელება გადაწყვიტეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც 80-წლოვანი ტრადიციების მრავალფუნქციური საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებაა, სადაც სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და მკვლევარების თანამშრომლობით იქმნება აკადემიური და პროფესიული განათლებისა და კვლევის ერთიანი სივრცე. უნივერსიტეტის ბაზაზე განხორციელება არაერთი საერთაშორისო და ეროვნული მნიშვნელობის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი. უნივერსიტეტს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა აქვს ქვეყნისა და უცხოეთის წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. მოქმედებს არაერთი ვაცული პროგრამა. მეცნიერების სხვადასხვა დარგში გამართული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებისა და სიმპოზიუმებისათვის რსუ ითვლება სასურველ მასპინძლად, გარდა ამისა, უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი აქტიურად მონაწილეობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციებსა და ვაცული პროგრამებში.

ძვირფასო პირველკურსელებო, ყველაფერთან ერთად თქვენ სტუდენტობის - ე. ი. ცხოვრების საუკეთესო წლებს გაატარებთ საოცარი ხიბლის ზღვისპირა ქალაქში, რომელიც გამოირჩევა ღირსშესანიშნაობებით, კლიმატითა და, რაღა თქმა უნდა, ხალხით.

ძვირფასო სტუდენტებო, მინდა კიდევ ერთხელ მოგილოცოთ ახალი სასწავლო წელი და შეგახსენოთ დიდი ილიას სიტყვები: „ხმლით მოსულმა ვერა დაგვაკლო-რა - შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშედან მინას გამოგვაცვლის, სახელს გაგვიქრობს, გავგწყვეტს. სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვერავინ-ღა გაუძღვება, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ.“

ბურამ ბახტაძე,

ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

V საერთაშორისო სკოლა სემინარი „ბიომედიცინის აქტუალური სახითხები“



bsu.edu.ge

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში V საერთაშორისო სკოლა-სემინარი „ბიომედიცინის აქტუალური საკითხები“ გაიხსნა. 10 ქართველი და უცხოელი პროფესორი ოთხი დღის განმავლობაში ჩაატარებს ლექციებს, მასტერ-კლასებსა და ლაბორატორიულ მეცადინეობებს დარგის აქტუალურ საკითხებზე. საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ბიოლოგიური და სამედიცინო პროფილის 60-მდე სტუდენტი, დოქტორანტი და რეზიდენტი გაეცნობა ცხოვრების ჯანსაღ წესს, ბიოსფეროსთვის, ბიოეთიკური პრინციპებისა და ნორმების დაცვის მნიშვნელობას ბიოსამედიცინო საქმიანობაში, ადამიანთა პოპულაციების ბიოლოგიური ბანკების შექმნის მნიშვნელობას ფუნდამენტური კვლევებისა და პერსონალიზებული მედიცინის განვითარებისათვის და ეთნობოტანიკური კვლევების მნიშვნელობას ბიომედიცინაში.

სწავლების მიზანია მეცნიერებისადმი სტუდენტთა ინტერესის სტიმულირება, მსმენელთა ვაცნობიერება ბიოსამედიცინო მეცნიერებათა თანამედროვე მიღწევებში, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლებისა და კვლევის თანამედროვე ინტერდისციპლინური მეთოდებისა და მიდგომების დანერგვის ხელშეწყობა, სამეცნიერო კავშირების ჩამოყალიბება და განვითარება, ახალგაზრდა მეცნიერთა ფორმალური და არაფორმალური კოლექტივების ჩამოყალიბების სტიმულირება.

V საერთაშორისო სკოლა-სემინარი ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტისა და თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრის ორგანიზებით ტარდება.

უნივერსიტეტი ორგანიზაციის „გეზულული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებისათვის“ იუბილე აღინიშნა



bsu.edu.ge

ორგანიზაციის „გეზულული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებისათვის“ ორი წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში. ორგანიზაციის წევრებს მნიშვნელოვანი თარიღი ბსუ-ს რექტორის მოადგილემ ნათია ნიკლაშვილმა, ქალაქ ბათუმის მერმა გიორგი ერმაკოვმა, სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა, საზოგადოების წარმომადგენლებმა მიულოცეს და მათი მიღწევები შეაფასეს. ღონისძიების დასასრულს სხვადასხვა შემოქმედებითი ჯგუფის მონაწილეობით კონცერტი გაიმართა. „გეზულული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებისათვის“ იუბილე უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მხარდაჭერით ჩატარდა.

2012 წლის 15 ოქტომბრიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩართულია ტემპუსის საგრანტო პროექტში „ინდივიდუალური საჭიროების მქონე ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრირება“, რომლის უმთავრეს მიზანს სწორედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ახალგაზრდების მოზიდვა წარმოადგენს. 2014 წლის 14 ივნისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელმა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისა და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის - GIPA-ს რექტორებმა ხელი მოაწერეს ინკლუზიის დეკლარაციას. შეთანხმების უმთავრესი მიზანი სწორედ უმაღლეს სასწავლებლებში ინკლუზიური განათლების დანერგვა, ადაპტირებული გარემოს შექმნა და მათი მხარდაჭერა იყო.




ძვირფასო სტუდენტებო, გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. ყოველი ახალი სასწავლო წელი არის თქვენს ცხოვრებაში ახალი და კიდევ ერთი საინტერესო პერიოდის, ახალი ცოდნისა და გამოცდილების შექმნის დასაწყისი. გისურვებთ კარგ სწავლა-განათლებას და გააზრებული ცოდნის მიღებას! ახალი სასწავლო წელი თითოეული თქვენგანისათვის ყოფილიყოს საინტერესო და წარმატებული. განსაკუთრებით მივეფერები პირველკურსელებს! მათთვის ხომ ეს ცხოვრების ახალი ეტაპის დასაწყისია.

ასევე, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს მინდა მივულოცო 80 წლის იუბილე. ეს არის საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული ეროვნული ტიპის უმაღლესი სასწავლებელი, რომელსაც მდიდარი საგანმანათლებლო ტრადიციები გააჩნია და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის განმტკიცება-გაძლიერების საქმეში. ეს არის უნივერსიტეტი, რომელიც აერთიანებს თაობებს, ძველ ტრადიციებსა და ახალ მისწრაფებებს.

8 ათეული წელია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქვეყანას ღირსეულ მამულიშვილებს უზრდის. ვუსურვებ კვლავც ქვეყნის სამსახურში ყოფნას და მრავალი კვალიფიციური კადრის აღზრდას, რომელთა პროფესიონალიზმი სათანადოდ უზრუნველყოფს თანამედროვე გამოწვევებს.

პატივისცემით, **ლილია ცეცხლაძე**, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი



შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მის პროფესურას და სტუდენტებს ვულოცავ ახალი სასწავლო წლის დასაწყისს და უნივერსიტეტის 80 წლის იუბილეს!

განათლება და განათლებული ახალგაზრდობა — საქართველოს წინსვლის და წარმატების უცილობო წინაპირობაა. ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე ხომ სწორედ განვითარებული, განსწავლული და თავისი საქმის მცოდნე პროფესიონალებია.

ჩვენი უნივერსიტეტი, რომლის კედლებშიც არაერთი თაობა აღიზარდა, საგანმანათლებლო სფეროს მონიწივე ადგილზე დგას და ჩემი სურვილია კიდევ უფრო ფართო ასპარეზზე გაეთქვას სახელი, როგორც დემოკრატიული და თავისუფალი ქვეყნის საგანმანათლებლო კერას.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ყველას, განსაკუთრებით კი, პირველკურსელებს და მჯერა, რომ ეს წელი თითოეული თქვენგანისათვის ახალი ცოდნისა და გამოცდილების შექმნის წელი იქნება.

დალი მახარაძე, ასოცირებული პროფესორი



ძვირფასო სტუდენტებო და კოლეგებო! გულწრფელად გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დასაწყისს და ჩვენი უნივერსიტეტის დაარსებიდან 80 წლის იუბილეს.

გისურვებთ სიკეთეს, გულისხმიერებას, ერთგულებას, ჯანის სიმრთელეს და წარმატებებს სწავლაში, საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში.

განსაკუთრებით მინდა ეს დღე მივულოცო ჩვენს პირველკურსელებს, რომელთა ცხოვრებაშიც მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება. ჩემი ცხოვრების 40 წელი დაკავშირებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. ეს სასწავლებელი ჩემთვის მეორე ოჯახად იქცა. ამ სასწავლებელთან მაკავშირებს ჩემი

სტუდენტობისა და პედაგოგიური მოღვაწეობის წლები. მინდა გისურვოთ, რომ თქვენთვისაც ჩვენი უნივერსიტეტი ისეთივე ძვირფასი იყოს, როგორც ჩემთვის არის.

გიყვარდეთ სწავლა, რადგან ცოდნის გარეშე ვერასოდეს მიაღწევთ ცხოვრებაში წარმატებებს!

მერაბ ახვლედიანი, სლავისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

VIII საერთაშორისო სამეცნიერო ჯონფერენსია - „ქრისტიანობა და ეკონომიკა“

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 80 წელს მიეძღვნა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ქრისტიანობა და ეკონომიკა“. კონფერენცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ორგანიზებით ტარდება. ერთობლივ საერთაშორისო კონფერენციაში კვლევის შედეგებს ხუთი ქვეყნის 80-მდე მეცნიერი წარმოადგენს. ქართველი, გერმანელი, უკრაინელი, ლიტველი და ბელორუსელი მომხსენებლები ეკონომიკაში რელიგიური ფაქტორების მნიშვნელობაზე, თეორიულ-მეთოდოლოგიურ ასპექტებსა და სოციალურ-ეკონომიკურ რეფორმებზე იმსჯელებენ.



ბრაზილიან რეპორაჟის უნივერსიტეტის რექტორთა შეხვედრა გაიმართა

ბრაზილიან რეპორაჟის უნივერსიტეტში აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის რეგიონების უნივერსიტეტების რექტორთა შეხვედრა გაიმართა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რექტორებმა ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების საკითხები და უნივერსიტეტების სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს. დაიგეგმა ერთობლივი საერთაშორისო პროექტების განხორციელება, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების გაცვლა, სემინარების, კონფერენციებისა და კულტურული ღონისძიებების ჩატარება. შეხვედრაში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ასოცირებული პროფესორი მერაბ ხალვაში, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი მარინა გიორგაძე, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორი, პროფესორი ირაკლი შარაბიძე, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ერმილე მესხია, თურქეთის გენერალური კონსული ბათუმში იასინ თემიზქანი, ევრაზიის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, აშქინ ასანი, შავი ზღვის ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი ჰიქმეთ ოქსუზი, ჭოროხის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მეჰმეთ დუმანი, რეჯეფ თაიფ ერდოღანის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი ორჰან ქარსლი მონანილოზდენ.



IV საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „დიგიტალური ჰუმანიტარია - ენისა და კულტურის ელექტრონული დოკუმენტაცია“ დასრულდა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის ერთობლივი საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „დიგიტალური ჰუმანიტარია - ენისა და კულტურის ელექტრონული დოკუმენტაცია“ დასრულდა. შემაჯამებელ შეხვედრაზე ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ასოცირებულმა პროფესორმა მერაბ ხალვაშმა კონკურსის წესით შერჩეულ 25 სტუდენტს სერტიფიკატები გადასცა. აჭარის არ. კულტურისა და სპორტის მინისტრმა გიორგი თაყაიშვილმა პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა და მონაწილეებს წარმატებები უსურვა. ბათუმის საზაფხულო სკოლა 2012 წლიდან ყოველწლიურად ტარდება და მიზნად ისახავს დიგიტალური ჰუმანიტარიის განვითარებას საქართველოში. საზაფხულო სკოლის ბაზაზე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე მომზადდა და აკრედიტაცია მოიპოვა დამატებითმა (Minor) პროგრამამ „დიგიტალური ჰუმანიტარიაში“.

საზაფხულო სკოლამ ამჯერადაც ინტერდისციპლინარული პროგრამა შესთავაზა მონაწილეებს. პროგრამა ითვალისწინებდა ენისა და კულტურის ელექტრონული დოკუმენტაციის ძირითადი პრინციპებისა და მეთოდების შესწავლას, აღნიშნული პროფილის ქართული და საერთაშორისო ელექტრონული რესურსების გაცნობას, საველე სამუშაოების ჩატარებას და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. საზაფხულო სკოლა მოიცავდა თეორიულ, პრაქტიკულ და ინტერდისციპლინარ ბლოკებს. თეორიული ბლოკის ლექციები ეძღვნებოდა ენისა და კულტურის ელექტრონული დოკუმენტაციის საკითხებს. პრაქტიკულ მეცნიერებებთან ერთად ლექციებს უძღვებოდა გერმანიიდან და პოლანდიიდან მოწვეული ექსპერტები. განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია ნეიმეხენის მაქს პლანკის სახელობის ფსიქოლინგვისტიკის ინსტიტუტის ენების არქივის ხელმძღვანელის - სებასტიან დრუდეს ლექციებმა ენათა დოკუმენტაციის საკითხებზე. პრაქტიკული ბლოკი მოიცავდა საველე სამუშაოებს: ინფორმაციის ჩანერასა და მასალების ელექტრონულ დოკუმენტაციას საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. მონაწილეებისგან შედგა სამი ჯგუფი, რომლებიც 2 დღის მანძილზე მუშაობდნენ სარფში, მარადიდსა და ერგეში. ინტერდისციპლინარული ბლოკის ლექციები ეძღვნებოდა ქართველოლოგიის სხვადასხვა აქტუალურ საკითხებს და მოიცავდა მომხსენებელ დარგებს, როგორცაა: ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია, დიალექტოლოგია, ფოლკლორი, ვიზუალური ანთროპოლოგია და ეთნოლოგია. შემაჯამებელ შეხვედრაზე სტუდენტებმა წარმოადგინეს სკოლის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნისა და ექსპერიმენტული მოპოვებული მასალების გამოყენებით მომზადებული ნინასწარი ანგარიშები და ჯგუფური საპრეზენტაციო მოხსენებები. დიგიტალური ჰუმანიტარია ახალი დარგია საქართველოში, შესაბამისად, იგრძნობა სამეცნიერო და სასწავლო მასალის სიმცირე ქართულ ენაზე, ამიტომ გადამწყვეტია სკოლის ფარგლებში ნაკითხული ლექციებისა და მოხსენებების ერთ კრებულად დაბეჭდვა. საერთაშორისო საზაფხულო სკოლა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით ჩატარდა.

ფაკულტეტი - სპეციალოგის არსებობის საფუძველი

მიმდინარე წლის 28 სექტემბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სასწავლო წელი დაიწყო. ცხადია, ეს დღე განსაკუთრებულ იმედებს, მოლოდინს და უკეთეს მომავალს უკავშირდება.

საინტერესოა, რა სიახლეებით ხვდებიან ახალ სასწავლო წელს ფაკულტეტების დეკანები, რას გეგმავენ სამომავლოდ და ზოგადად, როგორია მათი შეხედულება ამა თუ იმ საკითხისადმი.

ძვირფასო სტუდენტებო, ხოლმეაბო, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ყველას გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას და გისურვებთ წარმატებას!



ფაკულტეტის დეკანი - მარინა გიორგაძე

— ქალბატონო მარინა, როგორ ხვდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ახალ სასწავლო წელს?

— ახალ სასწავლო წელს, ბუნებრივია, დადებითი ემოციებით ვხვდებით. კმაყოფილი ვართ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით, ფაკულტეტმა 260 ახალი სტუდენტი მიიღო. დამატებით ირიცხებიან უცხოეთის მოქალაქეები. კონკურსის პირობებში დაკომპლექტდა ქართული ფილოლოგიისა (80) და ისტორიის (50) სპეციალობები, სახელმწიფო დაფინანსებით. ჰუმანიტარულ ბლოკში კი 130 სტუდენტი ჩაირიცხა, ისინი მეორე სემესტრიდან აირჩევენ კონკრეტულ სპეციალობებს. კონკურსის პირობებში ტარდება მისაღები გამოცდები ფაკულტეტის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე.

— მოგესხებათ, უნივერსიტეტი 80 წლის იუბილეს ზეიმობს. თქვენი ფაკულტეტი კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას ხომ არ გეგმავს?

— უნივერსიტეტის იუბილესთან დაკავშირებით ჩვენი ფაკულტეტის საბჭო გამოვიდა ინიციატივით, რომ დაწესდეს

შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდია. სხვათა შორის, როცა შოთა რუსთაველის სახელი მოგვანიჭეს, 1938 წელს სამი რუსთაველის სახელობის სტიპენდია იყო.

ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართული სხვა საუნივერსიტეტო ღონისძიებებშიც. უკვე ჩავატარეთ უნივერსიტეტის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი დოქტორანტთა მეორე კონფერენცია, ამჟამად იმეორდება მოხსენებათა კრებული.

— ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი კონკრეტული სიახლეებით ხომ არ ხვდება ახალ სასწავლო წელს?

— ახალ სასწავლო წელს სიახლეებითაც ვხვდებით, ფაკულტეტს ახალი დეპარტამენტი შემოემატა, აღმოსავლეთმცოდნეობის. ამ მიმართულებით გვყავს კვალიფიციური კადრები, წარმატებული სტუდენტები და ვგეგმავთ მუშაობის გაძლიერებას.

ახალ სასწავლო წელს ახალი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება დაიწყო: დამატებითი სპეციალობა „დიგიტალურ ჰუმანიტარიაში“, სამაგისტრო პროგრამები ფილოსოფიასა და სოციოლოგიაში.

დაგეგმილი გვაქვს საინტერესო კონფერენციები, სემინარები. მომავალი წელი შოთა რუსთაველის საიუბილეო (850) წელია. ამ მნიშვნელოვან თარიღს რამდენიმე ღონისძიებით გამოვცხადებთ.

— მიზნები 2015-2016 სასწავლო წლისთვის...

— მომავალ სასწავლო წელს ჩვენი უმთავრესი ამოცანა მინც სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფა და განვითარება იქნება.

გვინდა ახალი სასწავლო წლის დაწყება პირველკურსელობის სასიამოვნო მოგონებად დარჩეს. მათთან შესახვედრად პოეტი რატი ამაღლობელი გვყავს მონვეული.

— ბატონო ადამ, როგორ ხვდება სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი ახალ სასწავლო წელს?

— ჩვენი ფაკულტეტი ახალ სასწავლო წელს ტრადიციულად კარგი განწყობით და მაღალი პასუხისმგებლობით ეგებება. განწყობას თავისთავად ქმნის მონატრებულ სტუდენტებთან, პროფესორ-მასწავლებლების შეხვედრა, ამ დროს კარგად ნაცნობი გარკვეული მეგობრული ატმოსფეროს არსებობა და საყვარელი საქ-



ფაკულტეტის დეკანი - ადამ მახარაია

წელს ჩვენს უნივერსიტეტს, მართლაც, საიუბილეო 80 წელი უსრულდება და მთელი ფაკულტეტის სახელით მინდა მივულოცო ყველა უნივერსიტეტელს, მის კურსდამთავრებულს, ჩემს რეგიონს და სრულიად საქართველოს. ამ თარიღთან დაკავშირებით ფაკულტეტმა უკვე მიმდინარე ზაფხულში წარმატებით ჩაატარა საზაფხულო სკოლა სახელმწიფოთ - „ეკოკავშირის სამართალი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“, სადაც მონაწილეობა მიიღო 25 სტუდენტმა 12 ქვეყნიდან. ასევე ვგეგმავთ ჩავატაროთ სტუდენტური ვიქტორინა „მე უკეთესად ვიცი ჩემი უნივერსიტეტის ისტორია.“ სტუდენტების მონაწილეობით გვსურს გაგვართოთ მხატვრულ-შემოქმედებითი საღამოც, სადაც დაწესებული იქნება გარკვეული ნომინაციები და პრიზები ლექსის ნაკითხვისათვის, ლიტერატურული თხრობისათვის, ნახატისათვის, სიმღერისათვის და ა.შ., პროფესორ-მასწავლებლები ვგეგმავთ საჯარო ლექციების ნაკითხვას და სამეცნიერო კონფერენციის გამართვას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლები.

— უნივერსიტეტში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. რა ხდება ამ მხრივ თქვენს ფაკულტეტზე?

— უნივერსიტეტში დიდი სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც ჩვენს სართულსაც შეეხო. გათვალისწინებულია ის ძირითადი მოთხოვნები, რაც ჩვენს ფაკულტეტზე

„ხარბი დასაწყისი ნახევარი საქმისა“

მის დაწყება — სტუდენტისათვის სწავლა და ლექტორ-მასწავლებელთათვის მასწავლებლობა. პასუხისმგებლობას კი ამაღლებს ცნობილი დევიზი — კარგი დასაწყისი ნახევარია საქმისა, ამიტომ დასაწყისშივე პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს თავის საქმიანობას ფაკულტეტის ადმინისტრაცია, დამხმარე პერსონალი, ლექტორ-მასწავლებლები და სტუდენტებიც. სწორედ დასაწყისიდანვე ყველას საკეთებელი საქმის ძალიან გაერთიანების კვალობაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად წარმატებული იქნება მიმდინარე წელი ჩვენი ფაკულტეტისათვის.

— რამდენად კმაყოფილი ხართ 2015 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით?

— ჩვენს ფაკულტეტზე ფუნქციონირებს ერთი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა — „სამართალმცოდნეობა“, რომელზედაც გამოცხადებული გვქონდა 70 ადგილი და იგი ასი პროცენტით შეივსო. აუცილებლად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩვენი საგანმანათლებლო პროგრამა უკვე მეხუთე წელია საქართველოს მასშტაბით სამართალმცოდნეობის პროგრამებს შორის ყველაზე მოთხოვნილია. მაგალითად წელს, პირველ ადგილზე განაცხადის მიხედვით ერთ ადგილზე მოდიოდა 5,7 სტუდენტი, ხოლო მთელი განაცხადების მიხედვით 21 სტუდენტი მეტი. ჩვენი სამართალმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოში ყველაზე მოთხოვნილი პროგრამებში მესამე პოზიციას იკავებს, ხოლო სამართლის მიმართულებით კი, როგორც აღვნიშნეთ, პირველები ვართ. მართლაც საამაყოა, რადგანაც ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა დაუღალავმა შრომამ შექმნა საფუძველი ასეთი შედეგისათვის.

— მოგესხებათ, უნივერსიტეტი 80 წლის იუბილეს ზეიმობს. თქვენი ფაკულტეტი კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას ხომ არ გეგმავს?

გააუმჯობესებს ტექნიკურ და ესთეტიკურ გარემოს. კეთდება ერთი ამფითეატრის ტიპის აუდიტორია, კონფერენცდარბაზი, კომპიუტერების ლია კუთხე, ფოიეში მოეწყობა ლია ბიბლიოთეკა კარგი სამუშაო გარემოთი, აუდიტორიებში მიმდინარეობს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად რემონტი. ფაკულტეტზე ნაყოფიერი მუშაობისა და კარგი სწავლისათვის იქმნება არაჩვეულებრივი გარემო.

— მიზნები 2015-2016 სასწავლო წლისთვის...


კურსს, დიდი ინტერესით მუშაობდა სტუდენტებთან, მათთვის საკუთარი ხელით მოპოვებული სპეციალური ლიტერატურა, არ ზოგავდა დროსა და ენერჯიას, უღიგებდა სწავლის და კვლევის ინტერესს და, რაც ყველაზე მთავარია, სრულიად უანგაროდ ეხმარებოდა მათ ყველა ეტაპზე. არცერთ მის სტუდენტს არ შეუძლია თქვას, რომ ქალბატონ მერის ოდენიმე დავინყებია დაპირებული წიგნის თუ სტატიის მოტანა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ სტუდენტებზე დღედაღამ ფიქრობდა, ზრუნავდა, აძლევდა მათ მიმართულებას, უკვლავადა გზას. ამ მხრივ ის ნამდვილი პედაგოგის ეტალონია.

კვლევის სპექტრით, საკვლევო თემატიკის აქტუალურობით, საკითხის შესწავლის სიღრმით და ამომწურავობით ქალბატონი მერი ნამდვილი მკვლევრის ეტალონია.

ის ძვირფას ქალბატონს ისე აქვს შესისხლბორცებული, რომ ვერანაირი განსაცდელი ვერ შეავსებდა მის ცხოვრების ბერძენულ სტრუქტურას. მას ცხოვრების ბერძენული ვაჟიშვილის გარდაცვალების შემდეგაც ახერხებს არ უღალატოს საყვარელ საქმეს, თავის მოვალეობას ყველგან პირნათლად ასრულებს, გულმოდგინედ აგროვებს ახალ მასალებს. ამჟამად მონაწილეობს ერთად მუშაობს ვრცელ მონოგრაფიაზე „კლარჯეთი“. ამ ყველაფერს ისე აკეთებს, რომ საყვარელ შეიღვივებულ ზრუნვა და ყურადღება არ მოაკლოს, რუდუნებით ზრდის და უნებგავს საუკეთესო იდეალებს, გადასცემს ცოდნას და ამავდროულად უფასოდ. მათი წარმატებებით ხალისობს და საზრდოობს, სიცოცხლეს ინანგრძობს და აძლევს აზრს.

ვულოცავთ ქალბატონ მერის იუბილეს. ვუსურვებთ ჯანის სიმრთელეს, დიდხანს სიცოცხლეს და ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას.

ქალბატონი მერი, გავკანინებდებით და გეტყვით, მიუხედავად დიდი ღვაწლისა, ჯერ კიდევ ბევრი გაქვთ საკვლევი და დასაწერი; გვეიმედებთ, თქვენს მონაწილეობას კიდევ ბევრჯერ დაგვჭირდება თქვენი კვალიფიკური დარიგება...

პროფესორი მამია ფალავა ასოცირებული პროფესორი ნანა ცეცხლაძე



ახალგაზრდა ალექსანდრე ჯავახიშვილი - 140



ალ. ჯავახიშვილი

საქართველოს ინტელიგენციისა და საზოგადო მოღვაწეთა კოჰორტაში აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი სამართლიანად ითვლება საქართველოში გეოგრაფიული მეცნიერებისა და უმაღლესი გეოგრაფიული განათლების ფუძემდებლად. იგი იყო ცნობილი ქართველი გეოგრაფი, ანთროპოლოგი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი (1917წ.), პროფესორი (1920 წ.), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944 წ.) საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტის მოადგილე (1924-1940

წწ.), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1941 წ.), საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი (1940-1970 წწ.) და საპატიო პრეზიდენტი (1970 წლიდან)

ალექსანდრე ჯავახიშვილი დაიბადა 1875 წლის 5 აგვისტოს ქალაქ გორში. პირველდაწყებითი სწავლა-განათლება თბილისის სათავადაზნაურო ვაჟთა სასწავლებელში მიიღო. 1895 წელს ვერცხლის მედალზე დაამთავრა თბილისის ვაჟთა მეორე კლასიკური გიმნაზია და მოსკოვის უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე სახელმწიფო ხარჯზე სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა. 1900 წელს უნივერსიტეტს პირველი ხარისხის დიპლომით ამთავრებს და კათედრაზე სამეცნიერო მოღვაწეობისათვის მოსამზადებლად ტოვებს.

ალექსანდრე ჯავახიშვილი თავის სამეცნიერო მოღვაწეობის პირველ ორ ათეულ წელს მოსკოვში ატარებს და უმთავრესად საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ანთროპოლოგიის სადავო და ნაკლებად ცნობილ საკითხებს იკვლევს. გეოგრაფიული მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი მუშაობას მოსკოვიდან საქართველოში გადმოსვლის (1917 წ.) შემდეგ იწყებს. იგი უმთავრესად საქართველოსა და კავკასიის ბუნებისა და მოსახლეობის გეოგრაფიის შესწავლით ინტერესდება. ამასთან, გეომორფოლოგიის, ლანდშაფტოლოგიის, ჰიდროლოგიის, კლიმატოლოგიის, ოკეა-

ნოლოგიისა და კარტოგრაფიის ცალკეული საკითხების გარკვევაშიც საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვის. იგი ფართოდ ამუშავებდა ლანდშაფტების ტიპების კლასიფიკაციას, გამოყო ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტების ტიპების ჯგუფები. მის სახლთანაა დაკავშირებული სამედიცინო და სამხედრო გეოგრაფიის წამოწყების საქმე.

ალექსანდრე ჯავახიშვილის მეცნიერულ მოღვაწეობაში ცენტრალური ადგილი საქართველოს ტერიტორიის გეომორფოლოგიურ შესწავლას უჭირავს. ამ მიმართულებით პირველი მონოგრაფია 1926 წელს, ხოლო მეორე-1947 წელს გამოაქვეყნა. მონოგრაფიებში დადგენილია რელიეფის გენეტიკური ტიპები და მოცემულია მათი გავრცელების რეგიონები. ამ მიმართულებით მისი გამოკვლევები ყოფილ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ პირველ ცდას წარმოადგენდა, ხოლო მისი კვლევის მეთოდიკა საფუძვლად დაედო საბჭოთა გეომორფოლოგიური სკოლის განვითარებას.

ალექსანდრე ჯავახიშვილი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს პირველი ეროვნული ატლასის (1964 წ.) შედგენა-გამოცემაში, რისთვისაც სხვა მეცნიერებთან ერთად მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია (1971 წ.).

ალექსანდრე ჯავახიშვილის დიდი ამაგი მიუძღვის დედა უნივერსიტეტის დაფუძნება-განვითარების საქმეში. მის სახელთანაა დაკავშირებული ფიზიკური გეოგრაფიის მიმართულებით სხვადასხვა კათედრების ჩამოყალიბება, სამეცნიერო კადრების მოზიდვა და მომზადება.

ცნობილი მეცნიერის დიდი ამაგი მიუძღვის ბათუმის პედაგოგიური ინ-

სტიტუტის განვითარებაში. 1935 წლის 4 ოქტომბერს ინსტიტუტის ბრძანებით შეიქმნა რვა კათედრა, მათ შორის გეოგრაფიის კათედრაც. პირველ კათედრის გამგედ მოწვეული იქნა ალექსანდრე ჯავახიშვილი. მან დიდი სამუშაოები ჩაატარა სასწავლო გეგმების შედგენასა და დახვეწაში. კათედრა დააკომპლექტა ცნობილი და პერსპექტიული პროფესორ-მასწავლებლებით. მისი ინიციატივით შემუშავდა კათედრის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმა, რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედო აჭარის გეოგრაფიულ შესწავლას. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა პროფესორ-მასწავლებელთა მიერ ლექციების ჩატარების ხარისხს და მათ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. მის მიერ მოწვეო გეოგრაფიის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილი იქნა 1938 წლის სექტემბრიდან ბათუმიდან გადაგის თბილისში.

ალექსანდრე ჯავახიშვილი იყო ცენტრალური პედაგოგიური მუზეუმის (1918-1922 წწ.), საქართველოს კარტოგრაფიის ინსტიტუტის (1926-1932 წწ.) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული გეოგრაფიის ინსტიტუტის (1933-1938 წწ.), ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის (1945-1962 წწ.) დირექტორი. მისი ინიციატივით დაარსდა საქართველოს კარტოგრაფიული ინსტიტუტი (1926, იარსება 1933 წლამდე), გეოგრაფიის ინსტიტუტი (1933 წ.) ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი (1945 წ.), საქართველოს სსრ გეოგრაფიის საზოგადოება (1924 წ.). სხვადასხვა დროს ლექციებს კითხულობდა მოსკოვის უნივერსიტეტსა და მოსკოვის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებ-

ლებში (1899-1917 წწ.), საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში (1920-1921 წწ.), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1920-1973 წწ.), ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში (1933-1936 წწ.), ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში (1946-1938 წწ.), გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში (1943-1949 წწ.) და ბაქოს პედაგოგიურ ინსტიტუტში (1934-1936 წწ.).

ალექსანდრე ჯავახიშვილს ამაგი დაუფასდა. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, ორი შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლით „მამაცური შრომისთვის დიდ სამამულო ომში 1941-1945“, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული“ (1955 წ.). მის სახელს ატარებს კავკასიონის ერთ-ერთი მწვერვალი, მისი სახელობისაა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება, ქალაქ თბილისში არის მისი სახელობის ქუჩა, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ძევერაში არის ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი

ალექსანდრე ჯავახიშვილი გარდაიცვალა თბილისში 1973 წლის 22 იანვარს 98 წლის ასაკში.

ქართველი საზოგადოება დიდ პატივს მიაგებს ცნობილი მეცნიერის ნათელ ხსოვნას. ჩვენ ვალდებული ვართ ახალგაზრდებს გავაცნოთ მისი ამაგი საქართველოში მეცნიერული გეოგრაფიის განვითარების საქმეში და მომავალი თაობა მის მიერ განვლილი ცხოვრების წესით აღვზარდოთ.

მირბა ფუტყარაძე,
გეოგრაფიის დეპარტამენტის
პროფესორი

ახლახან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნეკრ-კორესპონდენტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ რეზო ჯაბინიძის ავტორობით გამოიცა სახელმძღვანელო: „სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები“, სადაც ფართოდაა გაშუქებული თანამედროვე მეცნიერების უახლესი მიღწევები და წარმოების მონიხვევ გამოცდილების შედეგები, ასევე დეტალურად განხილულია სუბტროპიკული ტექნიკური კულტურების და სუბტროპიკულ სამკურნალო მცენარეთა სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა, ბოტანიკურ-მორფოლოგიური დახასიათება, აგრობიოლოგიური და აგროეკოლოგიური თავისებურებანი, ნიადაგის მოვლისა და ყინვებისაგან დაცვის ღონისძიებები, სუბტროპიკულ ტექნიკური კულტურების სახეობების, ჯიშების, ფორმებისა და კლონების დახასიათება, სადედე ბაღების ინტენსიური ტექნოლოგია, სანერგე მეურნეობის ორგანიზაცია, სუბტროპიკული ტექნიკური კულტურების თანამედროვე მდგომარეობა, განვითარების პერსპექტივები და პროგნოზირება.

ნაშრომი აერთიანებს 42 სახელწოდების კულტურას, რომელიც წარმოდგენილია დამოუკიდებელ, მთლიან დარგად. მასში აღწერილია საერთო ხასიათის აგრობიოლოგიები, როგორებიცაა ნერგების გამოყვანა, მოვლა-მოყვანა და სხვა საკითხები, რომლებიც ყველა კულტურისათვის თითქმის ანალოგიურია, და მოცემულია შესავალ ნაწილში, რაც ავგაციალებს ზედმეტ განმეორებებს თითოეული კულტურის შესწავლისას, ამიტომ ცალკეა მოცემული თითოეული კულ-

ახალი სახელმძღვანელო „სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები“

ტურის აგრობიოლოგიური დახასიათება და აგროტექნიკური ღონისძიებების თავისებურებანი. სუბტროპიკული ტექნიკური კულტურების შესწავლის ობიექტია საქართველოში გავრცელებული სუბტროპიკული და ტროპიკული წარმოშობის ისეთი ტექნიკური მცენარეები, რომელთა ცალკეული ორგანოები, ან მათგან მიღებული პროდუქცია, როგორც ნედლეული, გამოიყენება სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგში.

სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები თავის მხრივ, განსხვავებული სპეციალიზაციის მრავალკულტურიანი დარგია. აქ გაერთიანებული მცენარეები მათი შესწავლის გაადვილების მიხედვით პირობითად შემდეგნაირად შეიძლება დაიყოს:

1. ეთერზეთოვანი — ის მცენარეებია, რომელთა ამა თუ იმ ნაწილის გადამუშავების შემდეგ მიღებული ეთერზეთები გამოიყენება პარფიუმერია-კოსმეტიკაში, ფარმაცოლოგიაში, კვების მრეწველობაში და სხვა, რომელთაც მიეკუთვნება: კეთილშობილი დაფნა, ვარ-



დისებრი გერანი, ევგენოლის რეჰანი, ეთერზეთოვანი ვარდი, მსხვილყვავილა ჟასმინი, რომარინი, უნაბი, ლავანდი, ქაფურის ხე, პაჩული, აკაცია, ხარისვარდა, კვლიავი, სურნელოვანი ია და სხვა;

2. ცხიმზეთოვანი — ის მცენარეებია, რომელთა ცხიმზეთები გამოიყენება ლაქ-საღებავების მრეწველობაში. მათ მიეკუთვნება: ტუნვის ხე, ლაქის ხე, მელა, ქაფურის ხე, საპნის ხე და სხვა.

3. სართავები ანუ ბოჭკოვანები — ისეთი მცენარეებია, რომლებიც იძლევიან საფეიქრო მრეწველობისათვის ვარგის ბოჭკოს. ასეთებია: ახალზელანდიური სელი, დრაცენა, თეთრი რამი, აგავა, იუკა, კენაფი, რამი, კანაფი, ჯუთი და სხვა.

4. მერქნოვანი ტექნიკური მცენარეები — ბაზუკი, ევკალიპტი, კაუჩუკის ხე, კორპის მუხა, გუდაპერჩის ხე და სხვა.

5. სამკურნალო მცენარეები — ხისებრი ალოე, თირკმლის ჩაი, კალენდულა, კატაბალახა, ცხრატყავა, სვია, პასიფლორა, კალანხოა, სტევია, კატაბალახა, ოლენდრა, მინავაშლა, მსხვილყვავილა მაგნოლია და სხვა.

ამრიგად, სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები გამოიყენებისა და სხვა ნიშან-თვისებების მიხედვით აერთიანებს მკვეთრად განსხვავებულ ერთნაირ და მრავალნაირ მცენარეთა სხვადასხვა სახეობას.

სახელმძღვანელოს შედგენისას გამოყენებულია ამ დარგში მომუშავე სამამულო მეცნიერების და უცხოეთის სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების მიერ დამუშავებული უახლესი მონაცემები, ავტორის მრავალწლიანი კვლევითი და სამეცნიერო მუშაობის შედეგები. განალიზებულია ამ სფეროში მომუშავე სპეციალისტთა ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილებანი, ასევე საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნილებიდან გამომდინარე, მათი აღდგენა-განვითარების პროგნოზები და

დაჩქარებული რეაბილიტაციის გზები, წარმოების სამრეწველო ტექნოლოგიის სხვა ელემენტების გამოყენების საფუძველზე. ამ ღონისძიების წარმატებით განხორციელება ცხოვრებაში შეუძლებელია აგრარული დარგის კვალიფიციური კადრების მომზადების გარეშე, სადაც მომავალ სპეციალისტებს აუცილებლად ესაჭიროებათ სუბტროპიკული ტექნიკური კულტურების ღრმა ცოდნა, რაც განაპირობებს მათ შემდგომ წარმატებულ საქმიანობას.

სწორედ ამ ამოცანის შესრულებას უნდა შეუწყოს ხელი წინამდებარე სახელმძღვანელო, რომელშიც განხილულია სუბტროპიკული ზონის ეკოლოგიური პირობები და საქართველოში გავრცელებული ტექნიკური კულტურების დახასიათება.

ასეთი სახის სახელმძღვანელო რეგიონში პირველად გამოდის, რომელიც უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების სტუდენტების გარდა, დიდ სამსახურს გაუწევს აგრარულ სფეროში მომუშავე მეცნიერებს, სპეციალისტებს და ამ დარგით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

ოთარ შინიძე -
სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

შოთა ლამაზარაძე -
სოფლის მეურნეობის
აკადემიური დოქტორი,
ასოც. პროფესორი



1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და ბათუმის განთავისუფლება



გვიანი შუა საუკუნეების საქართველოსათვის საბედისწერო აღმოჩნდა. პოლიტიკური კრიზისით მოცულ ქვეყანას სხვადასხვა მხრიდან უძლიერესი დამპყრობლები გაუმეზობლდნენ, რომელთა ერთ-ერთ ძირითად მიზანს კავკასიის დამორჩილება წარმოადგენდა. სამხრეთ — დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებთან ერთად აჭარა ოსმალთა ბატონობაში მოექცა.

მტრისაგან მიტაცებული მიწების დაბრუნებისათვის სწრაფვა ქართველ ერს არასოდეს განელებია. ისტორიული ქართული ტერიტორიების გამოსწისის საკითხი უფრო რეალური XIX საუკუნეში, ამიერკავკასიაში რუსეთის დამკვიდრების შემდეგ გახდა, რომელიც ოსმალეთის მთავარ მტრულ მოგვევლინა კავკასიაში ბატონობისათვის ბრძოლაში.

XIX საუკუნის 70-იან წლებში ბალკანეთის პრობლემის გამწვავებამ რუსეთ-თურქეთის მორიგი ომი გარდაუვალი გახადა. რუსეთი ტრადიციულად მხარს უჭერდა ბალკანეთის სლავი ხალხების განმათავისუფლებელ ბრძოლას. 1875 წელს ბალკანეთში დაწყებულ აჯანყებას ოსმალეთმა მკაცრი დამსჯელი ღონისძიებებით უპასუხეს. რუსეთი აჯანყებულთა დასაცავად გამოვიდა. ქართული პრესა კერძოდ კი „ივერია“ და „დროება“ განსაკუთრებული ყურადღებით მიმოიხილავდა ბალკანეთის საკითხის ირგვლივ შექმნილ ვითარებას, მისდამი ევროპის დიდი სახელმწიფოების დამოკიდებულებას. გაზეთი „დროება“ მონივნებში „ომის საქმე“ წერდა: „ოსმალეთი არც ერთ იმ წინადადებაზე არ დათანხმებულა, რომელიც სტამბოლის კონფერენციამ წარუდგინა იმას. დიდ რჩევას გადაუწყვეტია, რომ ოსმალთს მინისტრებმა სჯაც არ უნდა იქონიონ ამ ევროპის წარმომადგენელთა წინადადებაზე, თუ მათ, შეუძლიან იმ წინადადებაზე დაინკონ კონფერენციის წევრებმა მოლაპარაკება, რომელიც ჩვენ წარუდგინეთო. კონფერენციას ამაზე თავის მხრივ უარი გამოუცხადებია და ამჟამად ამის მოვალეობა გათავებულა... კონფერენცია დათხოვნილია... ევროპამ თავისი მოვალეობა ასრულა, უნდოდა ომი აეცილებინა თავიდან, უნდოდა ოსმალთა და რუსეთის შორის შეტაკება არ მომხდარიყო, უნდოდა და ამ შაზრით სტამბოლის კონფერენცია შეეკრიბა, მაგრამ... ვერა გააწყო რა... კონფერენციის დაშლა მოსწავებ იმას, რომ რუსეთი და ოსმალთა ახლა თავის ნებაზედ იქნებიან მიშვებულნი, შეუძლიათ პირდაპირ ომი გამოუცხადონ ერთმანეთს...“

რუსეთ-ოსმალეთის შორის ომის დაწყების შემთხვევაში კავკასია ომის ასპარეზად იქცეოდა. რა მოელოდა ამ შემთხვევაში საქართველოს? საერთოდ როგორი უნდა ყოფილიყო ქართველთა დამოკიდებულება ოსმალთა ომისადმი. ამ კითხვებზე პასუხს იძლევა გაზეთი „დროებაში“ დაბეჭდილი ნიკო ნიკოლაძის წერილი სათაურით „საქართველო—ომი თუ იქნა“: „აღმოსავლეთის ომი თუ ატყვია, ბრძოლა მარტო რუსეთსა და ოსმალეთს შუა კი არ დაბოლოვდება. მარტო ერთ შემთხვევაში შესაძლებელია ამგვარი „ომის შემოსაზღვრა“. თუ რუსეთმა თავდაპირველშივე ხეირიანად დამარცხა ოსმალეთის რაზმები, ისე რომ ოსმალეთს ომის გაგრძელება აღარ შეეძლოს და თუ რუსეთის დიპლომატიამ იმ წამსვე წარუდგინა ოსმალთს ადვილად მისაღები მორიგების პირობა, მაშინ შე-

საძლებელია, რომ ომი ადვილად და მალე დაბოლოვდეს... თუ ბრძოლა გაჭიანურდა... მაშინ კი ოსმალეთის ევროპელი მომხრეები მისთვის აუცილებლად თავს გამოიდებენ და ბრძოლა მთელს ევროპას მოედება... ჩვენს ქვეყანას დიდი სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა მოელოს აღმოსავლეთის ომში. საქართველოთი რუსეთი პირდაპირ შედის ოსმალეთში და საქართველოს ეხლა დიდი სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ინგლისის თვალში...“ მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ დაადასტურა ნ. ნიკოლაძის წერილში მოცემული ანალიზის უტყუარობა.

თუ როგორი პოზიცია უნდა დაეჭირა ქართველობას ოსმალთა ომის შემთხვევა, ამასთან დაკავშირებით ნ. ნიკოლაძე წერდა: „ნუ დავივინყებთ, რომ ჩვენი ქვეყნის სახელი, სიკეთე და მომავალი ჩვენს საკუთარს საქციელზეა დამოკიდებული. ნუ შევირცხვებით დღემდე პატივცემულ სახელს... ნუ დავიშავებთ სორობი. ჩვენი გონიერი, წესიერი და პატიოსანი საქციელი მაღლა ასწევს საქართველოს სახელს და მტერსა და მოყვარეს დაანახებს, რომ ჩვენი ხალხი სიყვარულის, პატივისცემის, მორიდების და კეთილდღეობის ღირსია“ („დროება“, 1877, #37).

როცა რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოების დიპლომატიურმა ნაბიჯებმა შედეგი არ გამოიღო, ალექსანდრე II 1877 წლის 12 (24) აპრილს კიშინიოვში ხელი მოაწერა მანჩესტერს ოსმალეთთან ომის დაწყების შესახებ. ქართველი საზოგადოება აღტაცებით შეხვდა რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებას, ვინაიდან მიიჩნევდა, რომ მას „შედეგად მოჰყვებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლება“. ომის დაწყებას „ივერია“ ასე ეხმაურებოდა: „12-ს აპრილს ხელმწიფე იმპე-

ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუდრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორიათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა („ივერია“, #9, 1877). (პ. უმიკაშვილმა ადრეც სათაურით „ოსმალთა საქართველო“ არა ერთი წერილი მიუძღვნა ოსმალეთის ქვეშე მყოფი ქართული მხარეების ისტორიას, გეოგრაფიას, იქაურთა ყოფა-ცხოვრებას, რითაც ფასდაუდებელი საქმე გააკეთა.

საომარი მოქმედებების მსვლელობისას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ოსმალთა მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე მცხოვრები მასშტაბიანი ქართველების პოზიციას, მით უფრო მხარდაჭერას. რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა მათი კეთილგანწყობის მოპოვებას, მით უფრო, რომ ოსმალეთის პროპაგანდა აქტიურად ცდილობდა მოსახლეობა რუსეთის სანინააღმდეგოდ განეწყო. კავკასიის მეფისნაცვალს, დიდი მთავარი მიხეილ რომანოვი, რომელიც იმავდროულად კავკასიაში მოქმედი ჯარების მთავარსარდალიც იყო, ასე მიმართავდა აჭარისა და ქობულეთის მოსახლეობას:

„აჭარისა და ქობულეთის მცხოვრებნი!

სრულიად რუსეთის ხელმწიფე იმპერატორმა იხეილა და ჯარი ჩემდამი მონდობილის კავკასიის მხედრობისა მოდის თქვენს ქვეყანაში.

ჩვენმა კეთილისმყოფელმა და კაცთმოყვარემ ხელმწიფემ ამოიღო ხმალი არა იმისათვის, რომ დაჰსწავროს მშვიდობისმოყვარე მცხოვრებნი... იგი გზავნის ჯარს ჩაგრულთა დასაფარველად და მზავრებულთა შესაკავებლად. ხელმწიფესა სურს დაიცვას სიმართლე და პატივი. მამასადაძემ არც მუქარით მოდის თქვენს ქვეყანაში მხედრობა რუსთა ხელმწიფისა და არც რაიმე შიში მოსდევს მას მშვიდობისმყოფელ მცხოვრებელთათვის. ნუ გეშინისთ! ყოველს თქვენგანს, რომელიც მტრად არ მოგვექცევა, ჩვენ



ბაჰ მოპოვებდა და აქვეყნებდა ომთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან მასალას: ჯარების გადაადგილების, მათი შეიარაღების, სიმაგრეთა მშენებლობის შესახებ ინფორმაციებს.

ოზურგეთიდან ბათუმის მიმართულებით შეტევაზე გადასულ ოზურგეთის რაზმს გენერალ-ლეიტენანტი ოკლობო მეთაურობდა. მას მოგვიანებით ქობულეთის რაზმი ეწოდა. ბრძოლაში თანდათან გაჭიანურებული ხასიათი მიიღო. რთულ რელიეფს თან ერთვის უამინდობა. საქმეს ართულებდა ისიც, რომ სლავზე ოსმალებს ჰქონდათ უპირატესობა. ამის გამო ბრძოლები ბათუმის მიმართულებით იმდენად ნელა წარიმართა.

სამაგიეროდ რუსეთის ჯარებს დიდი წარმატებები ჰქონდათ ბალკანეთში, სადაც აიღეს პლენა და კონსტანტინეპოლს მიუახლოვდნენ. რუსეთის არმიამ გადამწყვეტ წარმატებას მიაღწია კავკასიის ფრონტის ძირითად მიმართულებაზე — აიღეს ძლიერი ყარსის ციხესიმაგრე. ყარსისა და პლენის დაცემის შემდეგ ოსმალეთმა დაჰკარგა ომის წარმატებით დასრულების იმედი და ევროპის სახელმწიფოებს მიმართა რუსეთთან საზავო მოლაპარაკებაზე შუამდგომლობის თხოვნით. ამ დროს, ბათუმი ჯერ კიდევ ოსმალთა ხელში რჩებოდა. მაშინ როცა, რუსეთს ბათუმისადმი, როგორც ბრწყინვალე ნავსადგურისა და მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტისადმი განსაკუთრებული ინტერესი გააჩნდა.

19(31) იანვარს ადრიანოპოლში მხარეებმა ხელი მოაწერეს ომის შეწყვეტისა და მომავალი საზავო ხელშეკრულებების საფუძვლებზე შეთანხმებას.

1878 წლის 19 თებერვალს (3 მარტს) გაფორმდა საზავო ხელშეკრულება, რომლის პირობები საეხებით შეესაბამებოდა გამარჯვებული რუსეთის ინტერესებს.

სან-სტეფანოს საზავო პირობები რუსეთის სერიოზულ წარმატებებს აკანონებდა როგორც ბალკანეთში, ისე კავკასიაში... რაც მიუღებელი იყო ევროპის სახელმწიფოებისათვის, განსაკუთრებით ინგლისისათვის. მას მხარს უჭერდნენ ავსტრია-უნგრეთი და საფრანგეთი. ევროპის სახელმწიფოთა უკმაყოფილება მხოლოდ პროტესტით არ შემოიფარგლებოდა, მათ ომისათვის დაიწყეს მზადება.

რუსეთი ახალი დიდი ომის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა — ამიტომ დათანხმდა სან-სტეფანოს საზავო პირობების გადასინჯვას.

1878 წლის 1 (13) ივნისს ბერლინში გაიხსნა ევროპის სახელმწიფოთა კონგ-

რესი, რომელსაც უნდა გადაესინჯა სან-სტეფანოს ზავის პირობები. ესწრებოდნენ რუსეთის, თურქეთის, ინგლისის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, საფრანგეთისა და იტალიის დელეგაციები. კონგრესის მსვლელობისას გამოირკვა, რომ რუსეთი ფაქტიურად საერთაშორისო იზოლაციაში მოექცა და იძულებული გახდა სერიოზულ დამოზღვრებას ეწეოდა. გასაკუთრებით სერიოზული წინააღმდეგობა წარმოიშვა ბათუმის საკითხის გამო. ინგლისს არ სურდა ასეთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული და ეკონომიკური ცენტრი რუსეთს გადასცემოდა.

საბოლოოდ ბათუმი რუსეთს გადაეცა პორტო-ფრანკოს თავისუფალი სავაჭრო ნავსადგურის სტატუსით. ინგლისი დელეგაცია დათანხმდა ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებას იმ მიზნით, რომ მომავალში ქალაქი რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო და ეკონომიკური შეტევებისათვის გამოეყენებინა.

25 აგვისტოს 11 საათზე რუსთა და ქართველთა ჯარი ბათუმში შევიდა. იმავე დღეს რუსთა მეორე კორპუსი ტრეიტერის მეთაურობით შევიდა ხულოში, ფურტიოში, ჭვანში და დაიძრა ბათუმისაკენ სვიატოპოლ-მირსკის ჯარებთან შესართებლად. თურქთა უკანასკნელი ნაწილები დეერში ფაშას სარდლობით ბათუმს ტოვებდა. კავკასიის მეფისნაცვალმა დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ იმპერატორ ალექსანდრე II-ს დეპეშით მიულოცა: *Имею счастье поздравить ваше императорское величество с занятием Батума.*

ბათუმის მშვიდობიანად განთავისუფლებას ასე ეხმაურებოდა ჰივერიაჰ: ჰაი, ბათუმიც დაუცალა ოსმალებმა რუსეთის და მადლობა დმეროს არავითარი ვაიგალაბი და სისხლის ღვრა არ მოჰყვა ამ გარემოებას... დრო არის დამშვიდდეს და ცოტა მაინც დალაგდეს ცხოვრება. მშვიდობიანობას, ნამდვილ მშვიდობიანობას თანდათან ფეხი შემოაქვს ჩვენს ცხოვრებაში და უნდა ვინატროთ, რომ დიდი ხნით მაინც გვეყნოსო, თუ არა სამუდამოდ.

აჭარის გათავისუფლებას და დედა სამშობლოსთან დაბრუნებას აღტაცებით მივსალმება ქართველი მონივნე ინტელიგენცია. ი.ჭავჭავაძე წერდა: ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვიძინა... ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლბოროცი, ჩვენთან ერთად მეტროპოლი შავი ზღვისა, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენი ძველი საქართველო, ჩვენი განათლებისა და სწავლების აკვანი, დღეს ჩვენ შემოგვიერთდა“.

ჯემალ კარალიძე,
ასოციირებული პროფესორი



რატორმა კიშინიოვში მოაწერა ხელი უმაღლეს მანჩესტერს, რომლითაც ომი გამოუცხადა ოსმალეთს და მხედრობას რუსეთისას, საზღვრებზედ შეკრებილსა, ბრძანება მიეცა ოსმალეთის იმპერიაში შესვლისათვის... ეს ხმა ელვავდა უმაღლეს მოედო მთელს ქალაქსა და ყველანი მარტო ამას კითხულობდნენ... ორს საათზედ მთელი სიონის სობორო აიგისო ხალ-ხითა, კაცითა და ქალითა... ბანებზედ, ჩვეულებრივ ხალხი მოგ-როვდა...“ („ივერია“, #7, 1877) წერილი მონოღებობით მთავრდებოდა: „ჩვენც ხმაღს ხელი უნდა ვიკრათ და ჩვენს ძმებთან ერთად სისხლი ვღვაროთ“ ქართველთა ასეთი განწყობილების მიზეზს კარგად ხსნის პეტრე უმიკაშვილი წერილში: „ოსმალთა საქართველო“: „აღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კვლავ შევეერთდეთ, ერთმანეთი ვიძმით და ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს და დიდი ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თავის პატიოსანს და ღმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდნენ, თვალში სიხარულის ცრემლმორეული ქართველი და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს

მივიღებთ მეგობრად, და მის ცოლშვილსა, ოჯახსა და ქონებასა ჩვენ თვითონ მზარველად ვეყოლებით. რუსის ჯარის ყოფნამ თქვენს ქვეყანაში უნდა გავაშროს ერთმანეთის მტრობა-სიძულვილი და გულთ შეგავათვისოს და დაგვახლოვოს ჩვენ თქვენთან.

სამუშაღმანო საქართველოს მოსახლეობას ჯერ კიდევ არ დაეკარგა ეროვნული ცნობიერება. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ რუსეთ-ოსმალეთის (1877-1878 წ.წ.) ომის დროს აჭარა მტკიცედ დადგა განმათავისუფლებელი არმიის მხარეზე.

საერთოდ ქართველობა ამ ომში არ ნახულ ენთუზიაზმს ავლენდა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ გურულის მცხოვრებნი. ჰგურულები ძალიან მხნეობასა და შესამჩნევ სურვილს ბრძოლაში მონაწილეობისას იჩენდნენ. ამას წინათ რამდენიმე 12-16 წლის ყმაწვილები მოედნენ თურმე ჯარის უფროსთან და ითხოვეს, რომ საცა ჩვენი მამები და ძმები არიან, ჩვენც იქ უნდა ვიყვეთო. თოფი მოგვეცეთ და ჯარში ჩავაყენეთო.



საქირო წიგნი ურნაჯისციიში

გამოვიდა მეტად საინტერესო წიგნი „ურნალისტიკის თეორიის ფორმობრივი და შინაარსობრივი საფუძვლები“ (გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2015). წიგნი წარმოდგენილია თანამედროვე მედიის თეორიული საკითხები, განხილულია კომუნიკაციის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტის — მედიატივის ფორმობრივ-ფუნქციური ნიშან-თვისებები. ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი ღირსება ის არის, რომ თეორიული ნააზრების კვლადაკვალ მოტანილია შესაბამისი პუბლიცისტური (დოკუმენტური) მასალა. ეს ის აუცილებელი რესურსია, რომელსაც ეყრდნობა ავტორი ასახვის სხვადასხვა ფორმასთან მიმართებით.

მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია წიგნი განხილული საკითხები: ურნალისტიკის საზოგადოებასთან ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი, ურნალისტიკის ტექსტის შექმნა; სოციალური პასუხისმგებლობის საკითხები, თანამედროვე ურნალისტიკის გვარები, ინტერვიუ, როგორც ფანრი, ანალიტიკურ-განმარტვადებელი ასახვა, როგორც გამოხატვის ფორმა, კორესპონდენცია, სტატია, რეცენზია, ნარკვევი, ფელტონი პამფლეტი; ახალი ამბების ურნალისტიკა, ურნალისტიკის ასახვის საგანი (მოვლენა, პროცესი, ადამიანი, სიტუაცია, სენსაცია). თითოეულ თავს ახლავს გამოყენებული ლიტერატურის სია.

ეს წიგნი ავტორის მრავალწლიანი შრომის შედეგია. მას დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდა სურვილი, რომ ურნალისტიკის თეორიაში შექმნილიყო ქართულენოვანი სახელმძღვანელო, რომელიც ერთად თავმოყრილს, ერთ წიგნად შეკრულსა და აკინძულს წარმოადგენდა იმ სასწავლო თეორიულ და პრაქტიკულ მასალას, რომლითაც შესაბამისი პროფილის სტუდენტები იხელმძღვანელებენ, დაინტერესდებიან, ისარგებლებენ ლექციებისა თუ პრაქტიკული მეცადინეობისას, მასზე დაყრდნობით შეძლებენ გააზრონ და გააანალიზონ მედიატივის სახეობის ასახვის მეტად რთული და რისკიანი ხელოვნება: ეზიარონ სიტყვის თავისუფლების პრობლემას — იმ პრობლემის არსს, რომლის გარეშეც არა მხოლოდ მედიახელოვნება, ზოგადად კაცობრიობა, ადამიანური ცხოვრება აზრს კარგავს. ავტორი იდეაში გულისხმობდა ერთ წიგნად აკინძულ თეორიულ და პრაქტიკულ მასალას, რომელიც შეეხებოდა ურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის უმნიშვნელოვანესი ელემენტის — ტექსტის შექმნისა და შესწავლის ფორმობრივ (ფუნქციურ), ასევე შინაარსობრივ მხარეს შესაბამისი მაგალითების მოშველიებით. ამ მიმართულებით ქართულ ურნალისტიკაში საკმაოდ დიდი შრომა არის გაწეული ცნობილი და ავტორიტეტული თანამედროვე ქართველი მეცნიერების: შ. გაგოშიძის, ლ. სურგულაძის, ნ. ტაბიძის, ე. იბერიის, ბ. იმნაძის, თ. ჯაგოდინიძის, მ. ვეკუას, დ. ჩიქვილიძის, თ. ჯოლოგუას, დ. ოსეფაიშვილის, მ. გერსამიას, თ. მაღალურაძის, მ. შამილიშვილის, ნ. კუპრაშვილის, გ. გობეჩიას და სხვათა მიერ, მაგრამ ურნალისტიკის თეორიულ თუ ფუნქციურ პრობლემასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ბევრია გასარკვევ-გასაანალიზებელი. სწორედ ამ ხარვეზის შევსების ცდა გახლავთ იოსებ სანიკიძის მონოგრაფია, რასაც ადასტურებს აღნიშნული დარგის ავტორიტეტთა შეფასებაც:

„... ი. სანიკიძის ნაშრომი, თუნდაც თემატიკიდან გამომდინარე, უაღრესად აქტუ-

ალურია, რადგან დღეს საქართველოში ცოტა ორიგინალური სახელმძღვანელო გამოდის ურნალისტიკაში და ეს წიგნი უდავოდ დაეხმარება როგორც სტუდენტებს, ისე პროფესორ-მასწავლებლებსაც... იგი მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება დაინტერესებულნი მკითხველისა და ურნალისტიკის სპეციალისტის სტუდენტთათვის“, - აღნიშნავს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ქალბატონი თამარ მაღალურაძე. ასევე საინტერესოა ამავე უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, ბატონ გიგლა გობეჩიას, სტუ-ს მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის ფოტოლაბორატორიის ხელმძღვანელის პოზიცია, რომელმაც ასევე აღნიშნა, რომ „...ქართული ურნალისტიკამცოდნეობა არ არის ქართველ მკვლევართა წიგნებით განხილული. ჭარბობს უცხოელ ავტორთა თარგმნილი წიგნები, რომელთა უმეტესობა, სამწუხაროდ, სრულიად მიუღებელია ქართული სინამდვილისათვის. ამდენად, მისასაღებელია იოსებ სანიკიძის მცდელობა ამ ხარვეზის გამოსწორებისა. წარმოდგენილი წიგნის უდავო ღირსებად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ ავტორი თითოეულ ფანრს თან ურთავს მის მიერვე შერჩეულ ქრესტომათიულ ნიმუშს... წიგნი როგორც დაინტერესებული მკითხველისთვის, ასევე საქართველოს ურნალისტიკის მრავალრიცხოვანი ამქრისთვის მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება“. წიგნის რედაქტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი თემურ ჯაგოდინიძე: „ავტორის გადაწყვეტილება — ერთ წიგნად აკინძოს თეორიული და პრაქტიკული მასალა „ურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის უმნიშვნელოვანესი ელემენტის — ტექსტის შექმნისა და შესწავლის ფორმობრივი (ფუნქციური) და შინაარსობრივი მხარის“ შესახებ — არც თუ მარტივი შესასრულებელია. უთუოდ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქართული ურნალისტიკისმცოდნეობა მაინც და მაინც არ არის გამორჩეული ქართული სახელმძღვანელოებითა და მეთოდური ლიტერატურით და ამდენად, ყოველი ახალი ნაშრომის გამოჩენა მნიშვნელოვან ფაქტად აღიქმება. საინტერესოა ავტორის დაკვირვებები ცალკეულ ურნალისტიკურ ფანრზე, კორესპონდენციის, სტატიის, რეცენზიის, ნარკვევის, ფელტონის, პამფლეტის ფუნქციური თავისებურებათა გააზრება.

პროფ. ი. სანიკიძის წიგნის ნოვაციად წარმოგვიდგება თითოეული ფანრის აღწერა-დახასიათებაზე დართული ქრესტომათიული ნიმუშები და ფაქტობრივი მასალა. დარწმუნებული ვარ იგი დიდ ინტერესს გამოიწვევს როგორც სპეციალისტების, ისე მასობრივი კომუნიკაციის პრობლემებით დაინტერესებული მკითხველის მხრიდან. ამის ღრმა რწმენით დაეულოცავ გზას პროფესორ იოსებ სანიკიძის წიგნს და მკითხველის აღძვრასა და კითხვებზე პასუხების ძიებაში შედეგისმომტანობას ვუსურვებ“.

ავტორს კარგად აქვს გაცნობიერებული თანამედროვე კაცობრიობისათვის მედიის როლი, რომ ინფორმაციას მონყურებული მასობრივი აუდიტორია ყოველდღიურად

უფრო და უფრო მეტად იძირება ინფორმაციულ „ჭაობში.“ რა მოხდება ხვალ? იგი ხატონად შეეცდება სათქმელის გადმოცემას და გვარწმუნებს, რომ „სწორედაც დღეისა და ხვალეს ჭიდილი და ქიში არღვევს კაცობრიობის წონასწორობას, აღაფრთოვანებს ან სინანულს გვრის, აყვარებს ან აძულვებს, ამსუბუქებს ან ამძიმებს, ეფერება ან ლანძღავს, აშინებს ან აგულიანებს ანუ ცვლის სტატიკურ განწყობილებას და ახალი ენერგიით მუხტავს მას“. მას ადარდებს ბედი ტექნოლოგიათა ზღვარდაუდებელ ყალიბში მოქცეული ურნალისტიკის ტექსტისა, რო-

კიდევ პიროვნების ფსიქიკას... როგორ ვუმველოთ და დავეხმაროთ ტექსტს, რომლითაც ადამიანის გონება იმართება? ნუთუ ისე გაუჭირდა მას, რომ მხოლოდ მანიპულირებისა და ზღვარდაუდებელი ტექნოლოგიების იმედად რჩება?“ - ვკითხულობთ წიგნიში.


ი. სანიკიძეს კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ სამედიცინო, სხვა ნამდვილად არის და იგი ურნალისტიკური განათლების სრულყოფასა და მაღალ პროფესიონალიზმშია. გამოსავალი, მაღალ თეორიულ შესაძლებლობებთან ერთად მაღალზნობრივ ღირებულებებსაც გულისხმობს. დამკვიდრებული

ეთიკური კრიტერიუმები, ქცევისა და ურთიერთობის არსებული, მიღებული ნორმა და სტანდარტი ურთიერთობის ის აუცილებელი მოთხოვნებია, როდესაც მოვალეობა და პასუხისმგებლობა კიდევ უფრო მეტად ავსებს, ამდიდრებს და ალამაზებს ადამიანურ ურთიერთობებს. მიღებული, დამკვიდრებული და ადაპტირებული ეთიკური ნორმებისა და კრიტერიუმების ერთგულება და პატივისცემა თანაბრად მოეთხოვება ყველას. აქ ისმება ერთი მეტად აქტუალური საკითხი: ურნალისტიკისა და აუდიტორიის ურთიერთობა. ეს განსაკუთრებით მწვავედ იჩენს თავს მაშინ, როცა ინფორმაცია შერჩევით მიწოდება აუდიტორიას და მას ისე „აგებინებენ“, როგორაც მიმწოდებელს სურს ან მიაჩნია. ნიჭიერი ურნალისტი რეალობას სინამდვილეს მაქსიმალური წარმატებით ათავსებს, ათანხმებს და აზავებს ერთმანეთს. სწორედ აქ იკვეთება ურნალისტიკური თეორიის, ასახვის ხელოვნებისა და ტექსტის ფორმობრივ-ფუნქციური არსის ურთიერთხელოვნება. როგორ იქნება აუდიტორიის რეაქცია თუ ინტერესები, დამოკიდებულია საზოგადოების განწყობაზე. სწორედ ეს არის გასათვალისწინებელი მედიატივის შექმნისას ... სწორედ ამგვარი განწყობა ახდენს ზემოქმედებას და ქმნის წყალგამყოფს სამართლიანობასა და უსამართლობას, მიუკერძოებლობასა და ტენდენციურობას, პასუხისმგებლობასა და უპასუხისმგებლობას შორის...

წიგნი განხილულია მეტად აქტუალური საკითხები: რა თემებითა და დაინტერესებული ურნალისტიკა ოცდამეერთე საუკუნეში? რას სთავაზობს კაცობრიობას რეალობა და რას აწვდის მას მედია? რა არის მნიშვნელოვანი მასობრივი აუდიტორიისათვის? მასობრივი აუდიტორიაზე საკითხების გავლენას ურნალისტიკური ტექსტების შინაარსი განაპირობებს თუ მიმწოდებლის ხმა? ეს ის კითხვებია, რომლებიც კვლავ აწუხებს ყველა დაინტერესებულ პირს, მათ მომავალი გამოუტანს სამართლიან ვერდიქტს. ურნალისტიკური ტექსტი, როგორც ერთი მთლიანი მედიაპროდუქტი, მაღალი ურნალისტიკური სტანდარტების დაუფლების გარეშე წარმოდგენილია. სწორედ ეს კარგად აქვს გააზრებული ავტორს და მონოგრაფიის მიზანიც ესაა.

ავტორი მაღლიერებით მიიღებს ნებისმიერ საქმიან შენიშვნას.

ინგა შამილიშვილი,
ასოცირებული პროფესორი
ნანა ციცილაძე,
ასოცირებული პროფესორი



მელიც რეალობის ხან მიამიტური, ხანაც ილუზიური გააზრებით მასობრივი აუდიტორიის უდიდეს ნაწილში ხშირად ბრძოლის, შფოთვისა და დღეის შესაძლებლობათა იმიტაციის კვალს ტოვებს ხოლმე. კატეგორიულად დიფერენცირებული ინფორმაცია კი უკან მოხედვას კვლავ არ აპირებს და არც ის აინტერესებს, ვინ როგორ ან რას რანაირად გაიგებს“.

ავტორისავე გულისხუხილი და მთავარი მიზანია ისეთი ურნალისტიკური ტექსტები შექმნას, რომ „პიროვნების „მე“ არ დავაზიანოთ, არ უგულვებლყოთ, არ უარყოთ, არ დავკარგოთ... არადა, კაცობრიობას სწორედ დღეს, მესამე ათასწლეულის დასაწყისში მრავალი თავსატეხი გამოუჩნდა, რომელიც ადამიანის არა მხოლოდ ფიზიკურ, მორალურ და ფსიქიკურ სიჯანსაღეზეც გადის. ვინ არა უმეგობრის მას? ვის შეუძლია ამოღებინა პასუხისმგებლობის აღება? არის კი ვინმე ან რაიმე მზად, ამოღებინა სიმძიმის ტარების პასუხისმგებლობა აიღოს? რა თქმა უნდა არის და ეს მედიაა, რომელიც უპირველესად სწორედ ასახვის საგნის სხვადასხვა ხასიათისა თუ შინაარსის გადმოსაცემად განსხვავებული ფორმობრივი და ფუნქციური საშუალებებით ქმნის, აყალიბებს და აგზავნის ტექსტს, რომელიც კომუნიკაციის, ადამიანური ურთიერთობის განმსაზღვრელ უმნიშვნელოვანეს ელემენტად ყალიბდება, რომელიც ელემენტურად არა მხოლოდ ზემოქმედებას ახდენს, არამედ მის შესაბამისად მართავს

რედაქტორი:
იოსებ სანიკიძე

ნომრის რედაქტორი:
ნესტან მამუჭაძე



saredaqci o kol egia:
nana cecxl aZe, inga Samil iSvil i
naTia wkl aSvil i, nino dol iZe
murman gorgoSaZe,
daviT baraTaSvil i
guram Caganava, SoTa mamul aZe
gugul i dumbaZe, nugzar RomiZe

გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა
„სამშობლოში“
2 18 07 76; 5 99 95 31 90
მის.: ქ. თბილისი,
რობაქიძის 7